1918 წ. № 6 კვირა, აპრილის 2 ფასი 75კაპ. წელიწადი მეექვსე გამოცემის

არჩილ ჯორჯაძე

გარდაცვალებიდანა 5 წ. გამო

ვასო აბაშიძე

ოროცი წ. მოღვა- წეობის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ უნდა ვიყოთ?!

ულო იწოდაო, ძნა იცინოდაო!
ხალხური.

ჩვენი ერისა და ქვეყნის ტრაგედია განუზომელია: სამასი წლის წინად ოსმალომ ჩამოგვქრა სამშობლოს ერთი ნაწილი, სჯული შეუცვალა, დედა სამშობლოზე გული აუყარა და დიდებული მესხეთი—აწ სამუსულმანო საქართველო—თავის დიდებულთა სახით ოსმალეთისკენ იცქირება დღესაც.

ას-ჩვიდმეტი წლის წინად საქართველო „ერთმორწმუნე“ რუსეთს შეუერთდა ვითომდა თვით არსებობის შესანარჩუნებლად, მაგრამ საბედისწერო იყო ეს შეერთება: ჩვენი ერის მეორე მოწინავე ნაწილი რუსული სულით გაიჟღინთა ცხვირს ისე არ დაალეგმინებს, რომ არ დააყოლოს: შეგეწიოს რუსის მადლიო!—და თვალი ნიადაგ რუსეთისკენ უჭირავს.

სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?!

ეს შენა ხარ ჩემო ძმაო, სოფლის შრომის შვილო, უხსოვარ დროიდან შენს სამშობლო მიწა-წყალზე მიკრულო, ცოცხალი რომ მას დაჰხარი, შენი ოფლით რწყავ, სისხლით აპოხიერებ—მოჰკვდები და მასვე მიებარები.

ჭეშმარიტად, მხოლოდ შენზე ითქმის—ეს არის მამულიშვილი, სამშობლოს მომვლელ პატრონიო!

მაგრამ... ერთი მიიხედ-მოიხედე შენს საყვარელ მამულ-დედულში: მტერი შიგნით, მტერი გარედან... სამშობლოს გულში უამრ სამარეებს გითხრიან, სისხლის მორევს აყენებენ... შავი ზღვის მხრით შორეული დამცემი გემუქრება, თეთრი ზღვით—ქურქ შეცვლილი მტერ-მოყვარე...

და შენ ამ დროს რას შვრები?

გულ-ხელი დაგიკრებია და იძახი: რაც ვიომე მეყოფაო—ანუ როცა მტერი სოფელში შემოვა, პასუხს მივცემო, მაშინ როდესაც შენი რჩეული შვილები ბრძოლის ალში ეხვევიან, და ის კი გავიწყდება როცა ულო იწოდა, ხოლო ძნა ცინოდა ცეცხლმა ბოლოს ძნამდისაც უწია...

ის როდი კმარა, ჩვენი ქვეყნის ერთი რომელიმე კუთხე შეებრძოლოს მტერს ანუ მტრის წინააღმდეგ, მცირე რჩეული ნაწილი, გვიდეს დღეს ისეთი დროა, რომ საქართველოდან ქუდზე კაცი უნდა გავიდეთ ჭრელი ფიქრები დავთმოთ, სხვა და სხვა თვალსაზრისზე ანუ პარტია-პურტიობაზე ხელი ავიღოთ, ჩვენი მიწა წყალი და თავისუფლება საკუთარი მკერდით დავიცვათ და დღემდე თუ სხვებისკენ გვეჭირა თვალი, დღეს ჩვენც ჩვენად ვიყოთ...

ვიცნათ თავი, დავიფიროთ ჩვენი კერა გარეშე და შინაურ მტრისაგან, რომ ჩვენზეც ითქმოდეს:

იგი კაცია ვით შეჰფერის კაცსა კაცობა!

იოსებ იმედაშვილი

ლოცვა!

დედაო ღვთისავ!—ეს ქვეყანა დიდ-ჭირნახული,
სიკვდილის პირად წამდგარია, ვით ავაზაკი,
ხელ სისხლიანი, თვალ ცრემლიან—ფერ-დაჭმახნული, —
ვინ უწყს რომელი არის „დათო“ ან „ალრაზაკი?“
ცა მიწასა მტრობს, გადეკიდა, და მიწა კი ცას!
„ამან“ „ის“ მოჰკლა და „ეს“ კიდევ მესამის ხელმა,
ხვალე მეც უნდა გამოვღადრო ყელი ვიღაცას,
ან ძმას შევაკლა ჩემი თავი, ცოდვებით ხელმა!..

ცოდვი სჭირთ, ცოდვი! სისხლს რომ ღვრიან ადამის სულებს,
დედაო ღვთისავ! გადმოხედე წრე-გადასულებს!..

კოკი ებრალიძე (ტალღა)

თეატრის მნიშვნელობა

თუ რა დიადი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის კულტურულ ცხოვრებაში ხელოვნებას — კერძოთ თეატრს — ამის შესახებ ბევრი კარგი სიტყვა თქმულა და დაწერილა. და აქ არ მსურს მკითხველის ყურადღება ამაზედ დიდხან შევაჩერო. ყველასათვის ცხადია, რომ თეატრი დიდს როლს ასრულებდა და ასრულებს კაცობრიობის თვითცნობიერებაში, იგი მძლავრი იარაღია ადამიანის გონების განვითარებისა და ესთეტიურ სიამოვნებასთან ერთად იგი გვინერგავს სიყვარულს მოყვასისადმი, გვასწავლის ძმობა-ერთობას დიად მნიშვნელობას. ასეთია თეატრის მნიშვნელობა კაცობრიობისთვის და ასეთივე როლს უნდა ასრულებდეს თეატრი ყოველთვის ადამიანის ცხოვრებაში.

და მგონია, ცოტად თუ ბევრად მართალნი იყვნენ ისინი, ვინც რუსეთის დიდ რევოლიუციის პირველ დღეს თამამად გაიძახოდნენ: „რუსეთის დიდ რევოლიუციაში ჩვენ ხელოვანთ საპატიო ადგილი გვიკავია, ჩვენ ვასწავლიდით ხალხს თავისუფლების დიად მნიშვნელობას.“

მაგრამ აქ ზემოთ მოყვანილ დებულებას ბევრი განმარტება სჭირდება.

ხშირად თეატრი თავის დანიშნულებას სცდებოდა — იგი ადამიანის უბრალო გასართობ როლს თამაშობდა: წინად თეატრი თუ წინ უსწრებდა ცხოვრებას, ამ ბოლო დროს იგი არამც თუ გვერდში ვერ მისდევს ცხოვრებას, არამედ კარგა მანძილით ჩამოშორდა და მაჩანჩალასავით ნელის ნაბიჯით მიდის. მოსკოვი, რომელიც ითვლება რუსეთის ხელოვნების ცენტრად, ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია.

შექსპირი, შილლერი, მოსკოვის თეატრიდან განიდევნენ. მათი ადგილი ახალმა დრამატურგებმა დაიკავეს. მერე რა მოგვცეს ახალ პიესათა ხელოვნებამ, — რა შემატეს ნამდვილ ხელოვნებას, რა განძი შეიტანეს კაცობრიობის საღაროში?

ლეიბ-მოტივი თითქმის ყველა ახალ გამომცხვარ პიესისა — ეს ბურჟუაზიულ ოჯახთა აღწერა, სქესობრივი სიყვარული, ცოლ-ქმართ ღალატი. თეატრი ვერ ასრულებდა თავის ნამდვილ დანიშნულებას: იგი ვერ აწვდიდა ხალხს იმ სულიერ საზრდოს, რომელიც მას ესაჭიროებოდა. მერე რა დროს? იმ დროს, როდესაც მთელი განათლებული ქვეყნები ომის ქარცეცხლში იწოდნენ. ხალხს ესაჭიროებოდა ნამდვილ ხელოვანთა შემოქმედებით ცოტად თუ ბევრად შემსუბუქებინა ის მძიმე ტვირთი, რომელიც მას აწვა ზურგზედ.

არა, თეატრი გრძნობათა განსპეტაკების მაგიერ თავის შემოქმედებით ამახინჯებდა მაყურებელთ გონებას. თეატრი ბურჟუაზიასთან ერთად აჰყვა ცრუ პატრიოტულ გრძნობათა ღელვას. გერმანიის ხალხის სიმხეცე, მათ კაცეჭამიობა ხშირად დაავისურათის თეატრებმა. გარეულ მტერზე მიგვითითებდნენ, რათა შინაური ხალხს დავიწყებოდა.

და არ შეეძლო თეატრს სხვა გზით ევლო ისე, როგორც ბურჟუაზიული დაწესებულება, თავის როლს პირნათლად ასრულებდა. იგი თავის კლასს ემსახურებოდა ისე, როგორც პატრონი უბრძანებდა, ბაზარზე გამოჰქონდა ის საქონელი, რასაც მეტი ფასი და შემოსავალი ჰქონდა.

შენიშვ. გამონაკლისი ყველგან არის, მაგალითად სამხატვრო და კამერნი თეატრი არ აჰყვნენ სხვათა ფეხის ხმას და განაგრძობდნენ თავიანთ ერთხელ არჩეულ გზას.

მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ერთი დრო ბოლომდის არავის შერჩებაო.“

ძველ წესწყობილების დამხობასთან ერთად ბურჟუაზიულ თეატრს ნიადაგი გამოეცალა. იგი სულს ლაფავს, მისი დღეები დათვლილია და რაც უფრო მალე ამოხდება სული მით უფრო კარგი ახალ მომავალ თეატრისათვის, რომელსაც ძლიერი დემოკრატია შექმნის.

ბურთიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა შანიძე ე. ორბელიანი უზნაძე ახვლედიანი ვ. ლამბაშიძე ი ყიფშიძე
ქართულ უნივერსიტეტის პროფესორები

ქართულ უნივერსიტეტში

ბატონებო,

დიდის მღელვარებით აღსავსე გამოვდივარ თქვენს წინაშე, რადგანაც გათვალისწინებული მაქვს ამ წუთის სიდიადე) და განსაკუთრებულად ვაფასებ იმ პატივს, რომელიც წილად მხვდა მე.) ვხსნით ჩვენს საკუთარ ქართულ უნივერსიტეტს და ამით ხელახლად ვნასკვავთ ჩვენი ძველი კულტურის (შეწყვეტილ) ძაფს.

აღმოსავლეთის მზეზე გაბრწყინვებული კულტურა იგი უფრო მშვენიერდებოდა დასავლეთის აზროვნებასთან დაახლოვებით. ევროპა გვიცნობდა და ჩვენ მას ვუყვარდით. ჯერ კიდევ მე-13-ე საუკუნეში რომი გვიგზავნიდა მისსიონერებს. მე-15-ე საუკუნეში ჩვენ უახლოვდებით საფრანგეთს—საბა სულხან ორბელიანი ელჩად მიდის ლიუდოვიკო მე-14-ესთან და თავის იგავარაკებში თითქოს ლაფონტენის გავლენითაც გაიმსჭვალა. კრებილონი თავის ტრაგედიის რადემისტის დედა აზრს სესხულობს ჩვენი ისტორიიდან.

უკანასკნელმა ასმა წელმა ძალაუნებურად დაგვაშორა საფრანგეთის აზროვნების თავისუფალ აღორძინებას. ეხლა საჭიროა დაკარგული დროის მოგება.

ბედნიერად ვსთვლი ჩემ თავს, რომ მოვალეობად მარგუნეს თქვენ ფრანგული შეგასწავლოთ, რათა თვით დიდანის საშუალებით გაიცნოთ და იგემოთ მისი გენიოსობის ნაწარმოები. ნუ დაგვავიწყდება, რომ საფრანგეთის 1789 წლის წყალობითაა, რომ 1918 წელს გვაქს თავისუფალი ქართული უნივერსიტეტი.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს აზრი თქვენც საკმაოდ გიწინამძღვრებსთ და აღგაფრთოვანებთ.

ფრანგულ ენის ისტორიის მოკლე მიმოხილვა.

გალლიის პირველნი მცხოვრებნი აღმოსავლეთიდან მოსული კელტები და იბერნი იყვნენ. იბერნი დასახლდნენ სამხრეთით, კელტები ანუ გალლები დამკვიდრდნენ ჩრდილოეთსა და შუა გულში და თავიანთი სახელი უწოდეს მთელ ქვეყანას. მათი ენა იყო კელტური, რომელსაც ეხლაც ლაპარაკობენ ძველ არმორიკაში—ეხლანდელ ბრეტანში. კელტურს ლაპარაკობდნენ გალლები იულიოს კეისრის მიერ დაპყრობამდე, 55 წ. ქრ. დაბ. რომაელებმა მოჰფინეს ახალ პროვინციაში თავიანთი ძეგლები და სკოლები. თანდათან რომაელთა გავლენით მათ დაკარგეს თავისი ეროვნება, ზნე-ჩვეულება და ენა; გალთაგან გამოვიდნენ პოეტები, სწავლულნი და განსაკუთრებით ვექილები, რომლებიც სახელოვანად ლაპარაკობდნენ რომის სენატშიაც კი. კატონ ძველი ამბობს: „გალთა ერს გულით უყვარს ორი რამ— მამაცური ომი და მოსწრებული ლაპარაკი." ეს ორმაგი ხასიათი ეტყობა ეხლანდელ ფრანგებსაც. ლათინურს ლაპარაკობდნენ გალლიაში ბარბაროსთა შემოსვლამდის, 5 საუკუნეში ზოგიერთმა მათგანმა ააოხრა ქვეყანა, ზოგიერთი კი იქვე დაბინავდა: ფრანკები ჩრდილოეთით, ვიზიგოთები სამხრეთით და ბურგინიონები სამხრეთ-აღმოსავლეთით. ეს ხალხი იყო უმთავრესად გერმანელთა სისხლისა. ისინი იყვნენ მეტად ცოტანი და ერთობ ნაკლებ განათლებულნი, ვიდრე გალები, ამიტომაც შეუერთდნენ მათ, მიიღეს მათი ენა და ამის მიზეზითაა, რომ ფრანგულ ენაში ძალიან ცოტაა გერმანული სიტყვა.

მათი ბატონობის დროს ლათინური ენა ცოტად შეიცვალა, მაგრამ ხმარებაში დარჩა. ამპერი ამბობს: „ფრანგული ენა ლათინურია, კელტური სიტყვები დარჩენილა, გერმანული სიტყვები შემოსულა, ლათინური სიტყვები თვით ენაა მისი შემადგენელი."

841 წ. ლოტერმა გაუმართა სისხლის მღვრელი ომი თავის ძმებს. კარლო მელოტსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუდოვიკო გერმანელს. ამათ გაიმარჯვეს და შემდეგ წელს (842) სტრასბურგში ფიცი მისცეს ერთმანეთს ერთგულებისა დაკავშირისა. ეს ფიცი რომელიც დღევანდელ დღემდე იმით შენახული, შესანიშნავი, რომ ერთი პირველი ძეგლია მდაბიური ენისა ანუ რომაულისა. ეს ენა მომდინარეობს პირდაპირ ლათინურისაგან და სალაპარაკო ენათ იყო მაშინ საფრანგეთში, იტალიაში და ესპანიაში ადგილობრივი ცვლილებით. საფრანგეთში კილოებმა სხვა და სხვაობა მიიღო. ჩრდილოეთსა და სამხრეთში, ჩრდილოეთის ენამ მიიღო სახელი ოილის ენისა და სამხრეთისამ სახელი ოკის ენისა (პროვანსალურისა), პროვანსალური ენა იყო უფრო ლამაზი და მოქნილი, მაგრამ ჩრდილოეთის ენამ გაიმარჯვა და გახდა სალიტერატურო ენად საფრანგეთში. იმ დროს, როდესაც ოილის ენა ისახებოდა, და ლათინურს შორდებოდა გამოჩნდა ხალხი, რომელმაც მიიღო იგი და შეიტანა შიგ რამდენიმე ახალი ელემენტი. ეს ხალხი იყო ნორმანები, რომელთაც მე 9-ე საუკუნეში ბევრჯერ აოხრეს საფრანგეთისა და ინგლისის ნაპირები, პარიზსაც ომი აუტეხეს და კარლო გულმართალმა ვერ შესძლო წინააღმდეგობა მათი, დასდო ხელშეკრულობა მათ მთავართან როლლონდთან (611) და მიათხოვა თავისი ასული ჟიზელი, რომელსაც მზითვათ მისცა ნევსტრიის პროვინცია, დღევანდელი ნორმანდია. ამ მეკობრეებმა მიიღეს ფრანგების ენა და ზნე-ჩვეულება, ერთი სიტყვით გაფრანგდნენ.

ვილჰელმ დამპყრობელმა ინგლისს მიაღებინა ფრანგული ენა, რომელიც იყო იქა სამი საუკუნის განმავლობაში ოფიციალ და არისტოკრატიულ ენად. ეს არის მიზეზი, რომ დღევანდელ ინგლისურ ენაში არის ბევრი ფრანგული გამოთქმა. აგრეთვე მეფანდურეები (ტრუვერები), რომელნიც სწერდნენ ოილის ენით, იყვნენ ინგლისელ ნორმანელები მეფანდურეთა სიმღერებს, საგმირო ლექსებს მოჰყვა სატირა, იგავ არაკი და პოემები, მაგრამ ლათინური ხმარებაში დარჩა ეკლესიებში და სკოლებში.

ორი საზოგადოება იყო დაპირისპირებული: ერთი საერო რაინდული, ფეოდალური და ხალხური მეორე—საეკლესიო, საბერო და ხასწავლო.

ეკლესიამ ლათინურის ენით შეინახა ანტიური მწერლობის ტრადიციები. გამართული იყო სკოლები მხოლოდ საყდრებსა მონასტრებში. იქიდან იყვნენ გამოსულნი ყველა იმდროინდელი მა[illegible]განათლებულნი პირნი. პარიზის უნივერსიტეტი დაარსდა 1200წ. სორბონის სკოლა კი 1252 წ. დაარსა რობერტ სორბონმა, წმინდა ლუდოვიკოს მოძღვარმა. პირველ მატიანეთა ენაც აგრეთვე ლათინური იყო; ყოველ მონასტერში იყო ბერი, რომელსაც დავალებული ჰქონდა, ლათინურათ ეწერა მატიანეები ეს იყო ერის არქივი. მონასტრების გარეშეც ზოგიერთი პირები მისდევდნენ მატეანის წერას. ვილარდუენს (1150-1213) და ჟუენვილს 1224-1315 როგორც რაინდებს ხმალი უფრო ემარჯვებოდათ, ვიდრე, კალამი და რაკი არ შეეძლოთ ლათინური წერა, მატიანებს სწერდნენ მდაბიური ენით და ამით მისცეს დასაწყისი ფრანგულს პროზას. 14 და 15 საუკუნეში ფრანგული ენა ვითარდება აღორძინებამდე. ამ დროს შეუდგნენ მის გალამაზებას ბერძნულ და ლათინურ სიტყვების ხმარებით. ამ მხრით ისე უზომოთ იხმარეს ლათინური და ბერძნული, რომ თითქმის გააფუჭეს ფრანგული ენა. საბედნიეროდ ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა-მე17-ე საუკუნის დასაწყისს სხარტული და მკაფიო გახდა. იგი ხელახლად დაუბრუნდა ბერძნულ და ლათინურ ენას, მაგარამ უფრო აზრიანად და გონივრულად, და ამ ჟამად იგი მალერბის დახმარებით სრულიად გარდაიქმნა. ამის შემდეგ რამბუიეს დარბაზი საფრანგეთის გონებას აძლევს იმას რაც აკლდა მის მოხდენილობას და თავაზიანობას. საფრანგეთის აკადემია რიშელიეს მიერ დაარსებული, იწყებს თავის როლს გემოვნებისა და სიტყვისწყობის არბიტრისას. კორნეი დაასვამს თეატრს თავის ძლიერ გენიალობის ბეჭედს და ყველაფერი მზადება საიმისოდ, რომ ლუდოვიკო მე-14-ის საუკუნე გახდეს განსაკუთრებით კლასიკურ ხანად ფრანგული ენისა და ლიტერატურისათვის.

ელისაბედ ირაკლი ბატონიშვილის ასული
კნ. ორბელიანისა

გარიყრაყი

ბ უ რ უ ს ი

მონობაში მყოფ ჩაგრულთა მხარეს სიცოცხლის ფირუზოვანი დღეები შავი, უფერული ჯანყით ემოსებოდა.

მხარე იმედოვანი, მხარე აღთქმისა კი ჯერ შორს იყო.

გვმინავდა, კვნესოდა ბორკილ-გაყრილი ტანჯული არე...

მზე ფითრდებოდა, მზე ქლექდებოდა.

შორს ქალაქ გარეთ თავს იყრიდენ ერთი აზრით, ერთი იდეით გატაცებულნი მომავალ ცხოვრების შვილნი. და ბჭობდენ თავიანთ ქარ-ვარამზე, თავიანთ უნუგეშო ყოფაზე..

სოფლის ბელადი, სოფლის მებ ირახტრე, გაბროც აქ იყო. მაღალ ტრიბუნაზე შემდგარი, ის თავის ტანჯულ მოძმეებს ასმენდა სიტყვას, სიტყვას ძლევის, მომავლისას.

მისი გზა თვით ზღვის მჩქროლავ ტალღებში გამოიჭედა, მისი სიტყვა მიწის სევდაში ნაწრთობ-ნადაგია.

და სოფელიც უსმენდა მას, სხივოსან იმედებს იფენდა.

სოფელი იღვიძებდა, მედგრათ მკლავს შლიდა.

მაგრამ გასცეს ბოროტ იუდებმა და თავს-დაესხენ მტარვალები.

ბევრი ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე შეეწირა მეფის დარაჯების ცივ დაუნდობელ ტყვიას. ბევრი დედა ატირდა. ბევრი კერა გაცივდა, ჩაფერფლდა...

გაბრო შეიპყრეს.

ცივ და ნესტიან საკანეში მიუჩინეს ობოლი ნავთსაყუდარი.

მწარედ გმინავდა ტყვე დაჭრილი არწივი სოფლისა...

დიდი იყო მისი ტკივილები, მწარე იყო მისი სულის კვეთები,

და მიდიოდა ეს დღეები ჩუმად, უფერულად.

მზე კი არ ჩანდა.

მზე კი შორს იყო.

ჩ რ დ ი [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალ-ცალკე გამოჰყავდათ ტუსაღები ვიწროთ დარკიწულ სენაკებიდან.

ჩონჩხათ ქცეული პატიმარნი ხარბათ დაეწაფენ მზის მაცოცხლებელ სხივებს.

ფიქრი ობოლი, ფიქრი სევისა შეჭრილ-ილ ყო მძლავრად მათ არსებაში ჰყინავდა მათ ნეტარ წადილებს, მომავლის სხივებს.

აქ მოსულიყვნენ მათი მშობლები ტანჯვა ვარამში გაკაჟებულნი. წელში მოხრილნი მწუხარე დედები, რომელთა სახე გლოვის და უიმედო ცხოვრების დღეებს მწარედ, მწარედ დაეღარნათ...

ქეთოც აქ იყო. ხელში პატარა ხონჩა ჰქონდა. უცდიდა გაბროც, თვალებით ეძებდა ტუსაღებს ათვალიერებდა.

აი გაბროც. ის უცბათ შეკრთა. თვალი მოჰკრა თავის ობოლ იმედს. მას ნება დართეს ექთვა მშვიდობა ნაცნობთათვის.

სიყვარულის სიტყვები ტუჩზე გაიყინენ. მათი სუნთქვა წაიგავდა დაჭრილთა ოხვრას.

იისფერ აბრეშუმივით დაწვა სილაზე ქეთოს სხივი...

და გაბრომ დაჰკიდა ყელსაბამი თვისი კოცნისა და ყოველი მარგალიტი იყო მისი ცრემლისა...

ორივე ხელით მოსწია თვისკენ ქეთოს ტანი, რომელიც ლერწამსავით ირხეოდა და შესვა ნექტარი უკვდავებისა..,

და გაღვივდა სიყვარულის თეთრი კოცონი...

აი განშორდნენ...

ქეთომ მას პატარა ხონჩა გადასცა... უბიდან ხვთისმშობლის ხატი ამოიღო, კრძალვით ემთხვია და შემდეგ გაბროს უბეში ჩაუდო.

ტუსაღები შეჯგუფდნენ. დარაჯები ამოუყენეს და სადგურისაკენ გაისტუმრეს. მისტიროდა ქეთო. ობოლ მარგალიტებს აფრქვევდა.

განუზომელი იყო ქეთოს სევდა, ქეთოს ვარამი...

ი ს ე ვ გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

როცა მწუხარების და გლოვის ფარვანა თავს დასწოლოდა და მზეს ართმევდა,—გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრო გაირინდებოდა ერთ კუთხეში, ამოიღებდა ქეთოსაგან გადმოცემულ ბარათს და ცრემლებით ნამავდა... მისი გული კაჟივით მკვეთრი იყო და არად აგდებდა შორს ჩრდილოეთში ტანჯვა-წამებას. ელოდა სხივს განახლებისას, სხივს მოელვარეს.

და დადგა ჟამი ფირუზოვანი...

იფეთქა ტალღამ. ამძვინვარდა და კიდეებს გადასცდა...

დაემხო ოქროს კერპი, ფუფუნების ბუდე.

შეიპრა სატუსაღოს კედლებში, მილეწ-მოლეწა ბორკილები, და თბილმა სხივებმა საკანის მუდამ ჭვარტლიან, ბნელით მოცულ კედლებზედაც გაითამაშეს,

და დაუბრუნდა გაბრო თავის სოფელს, თავის მთებს. კეკლუც და ზურმუხტოვან საქართველოს...

ისევ აქ არის. მშობლიურ მხარეს. აქ იტყვის სიტყვას, ზვარაკად შეეწირება მის კეთილ დღეობას.

ქეთოც ხომ აქ არის. აქ არის...

და ძალა ემატება, იმედები ეფრქვევა...

და კვლავ ნეტარი გიზაფხული, ისევ მოცეკვავე სხივები...

ისევ ყვავილები.

ისევ გაზაფხული..

უფსკრული

დრო კი მიდის. მიაბიჯებს მდევარ ნაბიჯებს.

შავი ბურუსი ისევ ევლება მხარეს წამყბულს, მხარეს დავრდომილს...

სოფელი დაიბნა, სოფელი ძალას კარგავს.

მზის ოქროს სხივებმა ვაი რომ უნუგეშოთ გაუყინა ნეტარი წადილები.

ამოტივტივდნენ გველ-ბაყაყები და ქვემძრომნი,

გაბრო ინთქება ამ მღელვარე ზღვაში, იძირება. ძალა ელევა, იმედები ეფერფლება.

სოფელი კვნესის, მწარედ გშინავს.

ისევ ოხვრა მარად გლოვა ვიში.

შავი ძალები სულს უხუთავენ, მზეს უბნელებენ.

უფსკრული დაუსრულებელი, უფსკრული საშინელებისა გულ შემზარავად ხარხარებს, თვისკენ იწვევს.

გაცრუვდა იმედები.

ახალმა ხანამ ახალი ტანჯვა. ახალი ვაება მოუტანა მას.

ჩაიძირა შუქ მოელვარე იმედების ალმანი ზღვის მღელვარე ტალღებში.

გაბრო დაიღალა, მოიქანცა.

სხივები ჭქრება, სხივი ფერფლდება.

და სოფელიც უცდის მომავალ შხალს, მომავალ მზეს... უცდის...

დაუსრულებელია მისი ლოდინი..-

ს. ტაიფუნი

ჩემი სიმღერა

თუმც ჩამობნელდა, ცა გამიშავდა
და მიკითხეს ჭკვის საზარდად
და დამე ძაგი კაუშნიანი,
მელამუნება გულ გასაბრაზად,
თვალს ძდიგს-და ვახელ და სძინელობა
კაგნება გზისა სახატრელისა;
ბნელს დაუფარავს და ადარ მოსჩანს
სადგომი სატრფო საუვარელისა,
მაინც იმედი არ მეკარგება,
დამეს სტვლის ხოლმე უეჭველად დდე,
მწამს და თამამად მივაბიჯებ წინ
ბუნების წიგნი მე წავიკითხე.

თვალწინ მიშლია ცხოვრების ველი,
ზედ სასოფლო, ზედვე წალკოტი:
ერთს ია ვარდის თავზე გვირგვინი,
მეორეს გვედი გულის დამკოდი.
ცხოვრების შვილთა სიცილ-ტირილის
საბუთებს ვეძებ, სად, ვის ხელშია...
ერთი რომ სტკბება, იმ დროს მეორეს
ცრემლი რათა სდის მოხრილს წელშია?
ვეძახი ძმათ, მსურს ახლო მოვდნენ,
შემოიერთონ თვის გულის თქმანი..-
ამ დროს ცა გრგვინავს განრისხებული,
ადარ ისმიან ძახილის ხმანი ..
მაინც იმედი არ მეკარგება.
ვიცი ამ დღესა მოსდევს კაი დღე;
მწამს და თამამათ მივაბიჯებ წინ,
ბუნების წიგნი მე წავიკითხე.

ვუხმობ, ვუძახი, ვისაც ვეძახდი
და კვლავაც დავეძებ ვისაც ვეძებდი.
დამიდგეს უური მომესმოს, გრძნობა,
თუ ერთის წუთით ბედსა დავნებდი.
ცამ დეჭ, იჭექოს, დეე დაბნელდეს
ხომ უნდა გავვლო გზა გასავალი?
აქ ვით გავწერდე, რომ სხვა განიწვეს,
იწვეს და მიხმობს გული და თვალი!
მიტომაც არის, რომ ვერ მაშინებს
დამის სიბნელე,—მას მოჭვეტა დდე;
მწამს და თამამად მივაბიჯებ წინ,
ბუნების წიგნი მე წავიკითხე.

მ. ვალისციხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოგლა ლალაძიშვილ. გარდ. 40 დღის შესრ. გამო.

გ ა მ ო თ ხ ო ვ ე ბ ა

აჰა, გშორდები. უკანასკნელად
გამომიწოდე ძვირფასო ხელი.
ჩემო სიცოცხლევ, გულდასაწველად
ღიმი მაჩუქე უკანასკნელი.

უკანასკნელად მითხარ: მშვიდობით,
ო, რა მაწუხებს გამოთხოვება:
მცივა... სახეც კი გადამეყვითლა,
თითქოს სიკვდილი მიახლოვება,
მშვიდობით ტურფავ! მე სიკვდილამდი
გშორდები, მაგრამ ვაი ჩემ ყოფას,
ვიღას შევჩივლო ჩემი ოცნება,
ვინ ანუგეშებს ჩემს მარტოობას!

ვის უნდა უთხრა ქებათა ქება,
ვის დაუწერო საგალობლები?
დავრჩებით მარტო მე და ოცნება
ვით ედიპოსის ჩვილი ობლები
და მერე.. მერე, მარტობაში...
ო, ღმერთო!.. ფიქრიც კი მეზარება
ვიტირებ, როგორც უმწეო ბავში,
გული ცრემლებით დამესარება

წავლიან დრონი, დავიქანცებ
მე შენზე ფიქრით, შენთვის წამებ
და როს ჩემს სახეს ნახავენ სხვები
სიკვდილის ფერი შემოღამებით,
იქნება ვინმე და იმათგანში
სასიყვარულოს ჩამოკრავს ზარებს.
შენზე ოცნება მაშინ ჩემ თავში
კვლავ ვარსკვლავივით გაიელვარებს,
მაგრამ იქნება ველარ შევიძლო
ჩემი ოცნების წმინდა ლამპარო
და ჩემ უბედო ბედის სასაჭო
უცხოს სიყვარულს გადავაბარო.

გაივლის ხანი... წავლიან დრონი
ჭაბუკურ გზნების ცეცხლი მისწყდება
და მაშინ ჩემი ტრფობის საგანი
იქნება კიდეც დამავიწყდება

და როს სიკვდილის ცივი ზამთარი
დაიმორჩილებს სიცოცხლის ზაფხულს
და სარეცელში განსასვენებლად
მე განვამზადებ შენთვის დამწვარ სულს
კვლავ გაგიხსენებ კარგო და მაშინ
ჩემ წინ ავანთებ შენს გრძნეულ თვალებს
და მოგონება ჩემს ოცნებაში
ძვირფას ლეგენდათ გაიბრწყინვალებს.
შენთან სიცოცხლე იქნება მაშინ
უკანასკნელი ჩემი სურვილი
და ამ სურვილით დავხუჭავ თვალებს
სიკვდილის ძილით გადაბურვილი

მშვიდობით ტურფავ! უკანასკნელად
გამომიწოდე ძვირფასო ხელი,
ჩემო სიცოცხლევ გულდასაწველად
ღიმი მაჩუქე უკანასკნელი.

სინონ წეველი

სამი კელატარი

სამთა გმირთა—სანდრო კეცხოველის, გიორგი მაჩაბლის და კოსტა ყაზიშვილის ხსოვნას.

გმირებმა გმირულად დახუჭეს თვალი, თავისუფლების რიჟრაჟი იხილეს ზეკი ვერა,

რაც თავი იცნო მთელი თავისი არსებით მხოლოდ ერთი რწმენით სცხოვრობდა: ხალხო, ჩემი თავი თქვენთვის შემიწირავსო, ოც წელიწადს ციხე-კატორღა-ციმბირში აწამეს, იგი მაინც ამ რწმენით სუნთქავდა რომ ხალხს ელხინა.

ეს იყო მოხუცი სანდრო კეცხოველი.

ბრწყინვალე თავადის, დედმამის ერთად ერთი შვილი ევ. განათლებული, დიდი მებატონე შეძლებული, ხუთმეტი წლის წინად სრულის შეგნებით, შეურყეველის რწმენით მიუდგა დევნილ წამებულთ ფუფუნებას დევნა წამებ ირჩია, საპირადო საქვეყნოს ანაცვალა, რომ თვის საყვარელ სამშობლოშიაც ეხილნა მზე ბრწყინვალე თავისუფალი და საქმით გვიჩვენა, თუ როგორ უნდა ხალხის სიყვარული, ვაჟკაცური ბრძოლა და გმირული სიკვდილი,

ეს იყო თითქმის ბაბუკი გიორგი მაჩაბელი.

უბრალო გლეხი, არა ქართველი, მაგრამ ქართველს ეროგული შვილი, მტარვალთა თავხარბენამი, ჩაგრულთა მეუბეგეშე, თვით უშიშარი, სხვათა საშიშარი, დრმა რწმენით მომქმედი, არა სიტყვით, არამედ საქმით—

ეს იყო ოხი კოსტა ყაზიშვილი...

ვითარცა სამი კელაპტარი, სამი თაფლის წმინდა სანთელი იგინი ისე ენთნენ ხალხისათვის ქართლში, ხალხს მიუძღოდენ ყოველთა საბედნიერო აღთქმის ქვეყნისკენ, მაგრამ უგუნურმა ხალხმა იგინი არ დაინდო, არ დაინდო და ჩააქრო სამი წმინდა კელაპტარი...

მაგრამ გმირნო, ნუ შეშფოთდებით: ნეტარება თქვენ, რომ გმირული სიკვდილი ჰპოვეთ საგმირო საქმეში...

პატრუქი დაიწვა ცვილა დადნა, მაგრამ სხივი მისგან გამონაშუქი ქართველი ერისა და დემოკრატიის გულში სამარადისოდ იცხოველებს ახალ გმირთა აღსაზრდელად, თქვენდა სადიდებლად...

ნეტარება თქვენ ხალხისა გმირნო...

იოსებ იმედაშვილი

ზღვა ბობოქრობს

ზღვა ბობოქრობს: სტიქიონის ტალღათ ტყორცნა ცასა სწვდება...
ძველი ღმერთი მის ზვირთებში მოლივლივე, აჰა, კვდება;
და ხომალდიც მღელვარ ზღვაში სტიქიონის მსხვერპლი ხდება.
გიჟურ ლტოლვით ზღვის ტალღები ნაპირებსა ეხეთქება.
ზღვის ბობოქრი ტალღათ ტყორცნა—ეს მსოფლიო ომი არი
და ხომალდიც საქართველო მის გავლენით მომაკვდარი;
მაშ მოვკრიბოთ ძალნი ჩვენნი და დავიცვათ ჩვენი კერა,
მონაპოვარ ჩვენს უფლებებს ველარ დავსთმობთ, ვერა, ვერა!..

ვარლამ ჩხეიძე

ლეო ციციშვილი
ქართლში ვერაგულ. მოკლული

* * *

ჩვენი სიცოცხლე დღეს არის, ხვალ არ ვიქნებით, გავქრებით,
მიწისანი ვართ შვილები და მიწაშივე ვარდებით.
დღესვე გავწყდებით სუყველა, დღესვე ხმალისა ტრიალში,
ცოცხლები არვის ვემონვით, თუნდ კვდრებიც დაგვწან თვით ალში!
თუ შეგვაშინოს ჩვენ ვინმემ მუქარითა და ძალითა,
მაშინ არ გვნახოს სამშობლომ თავის ლამაზის თვალითა.
დე, დავიხოცოთ გმირულად თავისუფლების შვილები,
ქვეს არ მოუხრით არავის, სიცოცხლით განწირულები...

გ. კვაცხუთელი.



კომპ. დიმ. არაუიშვილი

ეროვნული

ბედნიერი ქალი

გაგრძელება. იხ. „თ. ც.“ № 5

სცენა 5

იგინივე და მხარგულაძე

მხარ. (გაჯავრებული შემოდის, ქუდს ქძებს და თავისთვის ლაპარაკობს) ო ქალებო, ქალებო, რა ხართ! ვისზე გამცვალა იმ გველმა? ვიღაც გაძენძილ სუდიაზე. ო ქალებო, რა ხართ, რა ხართ? (იღებს ქუდს და უნდა გავიდეს)

ირინე (მხარგულაძეს) კნიაზო, ერთ წამს აქ მობრძანდით. გახდით ჩემ უბედურების მო წამე.

მხარ. (გაჯავრებული არ უყურებს ფეთიანიძეს) უკაცრავათ ბატონო არა მცალიან, ძრიელ საჭირო საქმე მაქვს.

ირინე ერთ წამს, ბატონო, მხოლოდ ერთ წამს შეიტყვეთ ჩემი უბედურება. მამა ჩემმა ამ ვექსილის მეტი არა დამიტოვარა და იმაზედაც უარს მეუბნევიან, უნდა მიშველოთ. შიმშილით მოვკვდე, მეტი ღონე არ არის. აძლევს მხარგულაძეს ქაღალდს.

მხარ. ტყუილად სწუხართ ბატონო: თქვენ უნდა მოგცეთ ფეთიანიძემ ამ ქაღალდით ათასი თუმანი, თქვენ შეგიძლიანთ იჩივლოთ აცეცხლდება თავისთვის სიხარულით დავითვერ... მადლობა ღმერთს, რომ ტუტუცობას გადავრჩი... სოფიო რომ შემერთო, ხომ მთლად და ვიღუპებოდი, უნდა გამეყიდნა იმის მიმული და ამ ქალისთვის ათასი თუმანი მიმეცა... ათასი თუმანი!.. ვინ იცის მთელი მამული არც კი ღირს ათას თუმნათ... კინაღამ გლახა შევირთე ცოლათ. აღელვება ჰკუას მირევს ღმერთმანი, ძლივს ვდგევარ. ვბარბაცებ აღელვებული ხმით ირინეს. თქვენ უნდა იჩივლოთ, მოსთხოვოთ ათასი თუმანი.

ირინე მტირალის ხმით ვინა მყავს პატრონი მე უბედურს! სასამართლოს გზა არც-კი ვიცი.

მხარ. სიხარულით. ჩემი ვალია თქვენ გემსახუროთ. თუ ნებას მომცემთ, იმით თქვენ გამაბედნიერებთ.

ირინე არა, არასდროს თქვენ არ შეგაწუხებთ. მეტად ეხლა ვერ გავბედავ თქვენ შეწუხებას. უეჭველია, კარზე საცოლე მოგიცდით მოუთმენლად.

მხარ. უარს ნუ მეუბნევით, ნუ მიკლავთ გულს, მე საცოლე არავინ მყავს. ჩუმათ ტკბილად დამილით თქვენს გარდა.

ირინე ჩუმათ ფეთიანიძე ხომ ნახეთ, როგორ ჩქარა ავალებინე ხელი სოფიოზე.

ფეთ. ირინეს არ ვიცი, ღმერთმანი, როგორ გადაგიხადოთ. მაცხონეთ რაღა, მაცხონეთ!

მხარ. ირინეს თქვენ ხომ იცით, რომ ორგულმა სოფიომ მიღალატა. მე მეზიზღება აქ დგომა. მიბრძანეთ როდის და სად გნახოთ.

ირინე მორცხობით წიგნით შეგატყობინებთ

მხარ. მოუთმენლათ მოველი თქვენ წიგნს ხელზე ჰკოცნის და გასვლის დროს თავისთვის დაწყევლილი რა ლამაზია! არა აქამდე როგორ ვერ შევნიშნე! გადის

ფეთ. ერთი ვნახო სარ წავა ის ძაღლის წიწილი! როგორ აშკარათ ეტყობოდა, რომ მარტო მზითვისთვის უნდოდა ჩემი ქალი. ვექსილი რო ნახა, ცოტა მაინც დაფიქრებულიყო, მაშინვე უარი სთქვა, ასე გგონია ის ვექსილი ხელმწიფის ბრძანება იყო: კნიაზო, მხარგულაძე, ჩამოგახრჩობთ თუ სოფიო ფეთიანიძისა შეირთო, მაგრამ რას დავსდევ, უნდოდა იმ ცეკ-ფანტურას! თავიდან ხომ მოვიშორე და მეც მეტი არაფერი არ მინდოდა, უკან კი არ დაბრუნდეს ის ეშმაკი. გადის.

სცენა 6

ირინე მარტო ოჰ, ფულო, ფულო, რა ხარ! ეს ამაყი ფრანტი ზედაც არ მიყურებდა, ღარიბათ რომ მიცნობდა და ეხლა-კი რაკი ნახა ჩემ ხელში ვექსილი, სულ ჰკუა გონება აერია, არც კი იკითხა, რა ხასიათის ან ჰკუის ქალი ვარ, მაშინათვე სიყვარული გამომიცხადა, მინდა შეგირთოო, მაგრამ მაცადე, შე საბრალოვ, ეხლა ჩემი ჯერია ავიწიო შენზედ ცხვირი. ამ ქაღალდით როგორც ჯაჭვით დავიბავ ბევრს სხვას მხარგულაძეზე უმჯობეს საქრმოებს და მაშინ ამორჩევა ჩემი იქნება. მადლობა ღმერთს, არც შეხედულობა და ჰკუა მაკლია. მე დარწმუნებული ვარ არავინ არ დამიწუნებს. გავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცენა 7

სოფიო, მერე ბამბაშვილი

სოფ. დასწყევლოს ღმერთმა მხარგელაძე. ძლივს არ მოვიშორე თავიდან, არ მეშვებოდა, უნდა შეგირთო, რადგან შენის სიყვარულით ვგიჟდებიო და თუ უარს მეტყვი, მე შენ საქრმოსაც მოვკლავ და თავსაც მოვიკლაო. რომ იმის სიმამაცე ვიცი ბაყაყებისაც კი ეშინიან, აბა რა საკვირველია, ყურს ვათხოვებდი იმის მუქარას!

ბამბ. შემოდის ბაჯბაჯით კნიაენა, უკაცრავათ რომ გაწუხებთ ესე ხშირ-ხშირ ხლებით, მაგრამ უნდა იცოდეთ ჩემი დგომარეობა, რომ მაპატიოთ. ყველა ჩემი საქმე, ყველა ჩემი სიამოვნება გაჰქრა, რაც აქეთ გადმოვსახლდი: სამსახური დამავიწყდა, ქალალდის თამაშობა აღარ მასიამოვნებს; სხვა რამ ამ ქვეყანაზე არც იზიდავდა ჩემ გულ-ყურსა, შრომის შვილი ვარ, ღარიბ აზნაურმა თავის ჯაფით გავიგნე ცხოვრების გზა, ეხლა-კი მუშაობაც დამავიწყდა, ჩვენი პოეტის სიტყვების მეტი აღარაფერი არ მახსოვს:

ფიქრები მაქვს, სულ თქვენი სახე მოდის,
მინდა რამ ვსთქვა, თქვენი სახელი მოდის.
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხართ,
თვალს ავახელ წამწამებზე მიზახართ.

რა იყო ჩემი სიცოცხლე აქამდი? ტანჯვა, ტანჯვა და მარტო ტანჯვა! მერე ვიფიქრე: მეყოფა ამდენი ტანჯვა, საკმაოთ მაქვს შეძლება შიმშილით მოვკვდები; ეხლა ჩემი სული და გული მინდა დავატკბო მეთქი, სარგებლით დავიბრუნო, რაც ყმაწვილობაში ამცდა მეთქი, ვნახე ანგელოზი და ჭკუა დავკარგე! უნდა დაიჩოქოს. ამ დროს შემოვა ირინე.

სცენა 7

იგინიგე და ირინე.

ირინე ქალო მამა დაგეძებთ, სიხარულით არ იცის რა ჰქნას! რაღაც საიდუმლო უნდა შეგატყობინოთ.

სოფ. ბამბაშვილს. დამიცადეთ ეხლავე მოვალ, გადის,

ბამბ. ტოტა ხნის სიხუმის შემდეგ თავისთვის ნეტა ამას არ ვხედავდე ხოლმე აქ. ვინ იცის როგორ დამცინის: ცბიერი ქალია, ნეტავი ჩემ სოფიოს ჰქონდეს ამის ეშმაკობის მეათედი. ან ნეტავი ეს წყეულიერინე სოფიოს ადგილს იყოს სულ მთლად შევიშლებოდი! ფიქრიც ჩემ ჭკუაზედ არა ვარ.

ირინე მორცხვათ კეკლუცათ. თუ არ შეგაწუხებთ, ერთი რამ უნდა გკითხოთ,

ბამბ. ბრძანეთ.

ირინე თქვენ სუდია ბრძანდებით თქვენ გეცოდინებათ, ამ ბარათს ძალა აქვს თუ არა?

ბამბ. ვექსილს უყურებს. დიახ ძალა აქვს, თუ.. აკანკალებული თუ ამას მომცემს სხვა კიდევ, ვექსილები დაურიგებია.

ირინე ეგ თქვენ კარგათ გეცოდინებათ, ამ ბარათის მომცემის სასიძო ბრძანდებით.

ბამბ. სასიძო? არა არა. ეგ ვინ მოგახსენათ! მართალია ლაპარაკი იყო, მაგრამ.. მე ამ ბარათისაც არაფერი არ ვიცოდი. ვინ იცის მაგისთანები რამდენი დაურიგებია ბებერს. ჩემთვის არაფერი უთქვამს (თავისთვის) დასწყევლა ღმერთმა, ვინ დამარწმუნა, რომ ფეთიანიძე უვალოავო. გიჟიც ვიქნები, თუ შევირთავ. ძლივს ორიოდ გროში მოვაგროვე. ეხლა ცოლად ვალი უნდა შემრთონ სადაურია!, ვინ დაუთმობს! ქუდს ადებს უნდა წავიდეს უკან ბრუნდება უკაცარავად კი არ ვიყო ბატონო, ერთი კიდევ მაჩვენეთ ეგ ბარათი. იქნება ვცდები სანჯაგს ბარათს. თავისთვინ. სწორეთ იმის ხელია, ფეთიანიძის ხელია ეი შეარცხვინა ღმერთმა! ასი თუმანი რომ აეღო კიდევ არაფერი; მაგრამ ათასის აღება რა ღვთის რისხვაა!

ირინე თავისთვის დაცინვით. საწყალი ყმაწვილი კაცი, როგორ ჩქარა მოსტყუვდა! მაგრამ არაფერია, გაიზდება ჭკუას ისწავლის.

ბამბ. ტოტა ფიქრის შემდეგ მე, ტუტუცს, მართალი არ მეგონა! ამას ძალა აღარ უნდა ჰქონდეს.

ირინე რატომ ბატონო?

ბამბ. ამიტომ რომ ეს ქალალდი იმის ხელში უნდა იყოს, ვის სახელობაზედაც არის დაწერილი. რაკი ფეთიანიძის სახლშია, სჩანს ფეთიანიძეს ვალი გადუხდია, ბარათი უკან მიუღია და დავიწყებია ქალალდის დახევა. მიკვირს თქვენ საიდან ჩაგივარდათ ის ხელში.

ირინე ეგ თქვენი ფიქრი უსაფუძლოა, ეგ ბარათი ჩემ განსვსნებულ მამის სახელობაზეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბ. თავისთვის. ეჰ, მე უბედური! უნდა გავიდეს მაგრამ სად მივდივარ, მაშ რის კანონის მცოდნე ვარ, თუ რომ ჩვენა უბედურებაში ხრიკს ვერ მოვიგონებ, უნდა წავიდე ფეთიანიძესთან, უნდა რამე მოვახერხო. უნდა გაიდინე ეჰ, ბატონო, ცოტა კიდევ მინდა შევაწუხოთ. თქვენ სუდია ბრძანდებით, ყველა გეცოდინებათ კანონებში, და მე კი ობრად დარჩენილი ქალი გახლავარ, საქმეები დახლართული მაქვს; მე, მარტოკას, სხვის დაუხმარებლად რიგზე ვერ მომიყვანია.

ბამბ. სიცილით თავისთვის. ჩემ საქმეში მევე მპატიჟობს მოსამართლეთ, ირინეს დიდის საამოვნებით ბატონო, მხოლოდ ეხლა მეშურება. დღეს ფეთიანიძე არ მინახავს.

ირინე აჰ, ისე მოწყალეთ რომ ბრძანდებოდეთ და რომ გაგვაბედნიეროთ, გვეწვიოთ ჩვენს კოხში, დედასთავ; არასდროს არ დამავიწყდება ეს ბედნიერება.

ბამბ. ტკბილად. არა, ბატონო, ჩემთვის იქნება ბედნიერება ბედნიერება თქვენთან ხლება. ჩამთვალეთ მე თქვენ მოსამსახურეთ, ერთგულ ძაღლათ. თავისთვის. რას ვამობ არც კი მესმის. წყეული რა მიმზიდავია! რა მიმზიდავია! ჩემ ცივ ქათამს სოფიოს არასფერი არ უგავს, თჰვენმა მზემ, სრულიად არაფერი.

ირინე აჰ, რომ დაანებოთ თავი მაგ კომპლიმენტებს და ერთი წამით წამობრძანდეთ ჩვენსა, მაშინ დავრწმუნდები, რომ ეგ თქვენი სიტყვები ცარიელი სიტყვები არ არიან და თქვენ ნამდვილი პატივისცემა გაქვთ ჩემი.

ბამბ. თავისთვის. ვერ ვეწინააღმდეგები ამ ტკაილ ხმას, ალერსიან მარილიან სახეს! ისინეს მზათ ვარ ყველა დავივიწყო თქვენი სურვილის ასასრულებლათ. მიბოძეთ ხელი და წავიდეთ! თავისთვის. როცა ამ სიმშვენიერეს დაემატა ათას თუმნიანი ვექსილი, მაშინ აბა ვილას აგონდება სოფიოსთანა ტიკინები მხარგელაძე ფანჯრიდან იხედება.

ირინე შლაპას იხურავს. თავისთვის. დედამ გამომაგზავნა, ბინა იშოვნეო, აი ბინა ვიშოვნე სწვენებს ბამბაიშვილზე. და მიმაქვს დედასთან. უეჭველია ის კარგათ გახდება, რადგან კარგი ბინა ვიშოვნე, თქვენ დამერწმუნებით. ხელს აძლევს ბამბაიშვილს და გადიან.

ხცენა 8

მხარგ. ფანჯრიდან იხედება. დაწყევლოს ღმერთმა ბამბის ტომარა! კმაყოფილობისგან ხელს არ იღებს ეს ბებრუცუნა, თითქო ძალად მეჯიბრება, ყველგან საცოლეს მართმევს. ღმერთი არ გამიწყრება საშინლად მივბღერტავ.

ფარდა

დასასრული იქნევა ბ. თუმანიშვილი

მთვრალი — სიმართლის მქადაგებელი

ვაჟო, სიმართლის მძებნელო,
რითვის დადიხარ მთვრალიო?—
ხელში აგიღავ ბერდენკა,
წელზე შაგირტყამ ხმალიო!
საფლავის მახარობელი,
რაღა გინდა აინალიო,
ვინ მოგილოცავს კაცობას,
შენ რომ ძმის სისხლი დალიო?!
შენვე გატირებს ბოლოსა
ეგ შენი სამართალიო;
რომ არ გადიქცე მხეცათა,
იმდენი უნდა დალიო,
არ დაგაყვედრონ ფხიზელსა
უმგზავსო საქციელიო,
ძმაო გენაცვალე, მკითხველო,
არაყი აღარ დალიო!
დღეს ჰკუა კაცის თოფია,
და ენა ბასრი ხმალიო,
ეს გითხარ იყავ ჩახმახად
როგორც კვესი და ტალიო,
და თუ ამას ტყუილს ვამბობდე,
გინდა მომთხარე თვალიო!..

ვასო აფციაური

ფშაური ლექსები

კარგ ყმას შეჰყვარდი ქალაო,
ნურც ცუდსა მდიდარისასა,
კარგი ყოფა და ცხოვრება
მუხლს მააქვს კარგი ყმისასა.

*

ამიყვანე, წამიყვანე,
წითელ ქუდავ, ცხენიანო,
ამაზედ მეტს ვეღარ გეტყვი
პატარა ვარ მცხვენიანო.

ბედ. ბედოშვილი

სამშობლო ხელოვნება

ძუკუ ლოლუა
დასავლეთ საქართველოს ხალხურ მომღერალთა გუნდის ლოტბარი.

ქვეყნად რომ სიბნელე მოიფინება, ყინვა გამეფდება, ყოველნი სულდგმულნი გაითოშებიან, გაავზნევდებიან და სასოწარკვეთილნი, ურთიერთს დაერევიან მაშინ მზეა საჭირო თვისი უკვდავ სხივებით რომ ყოველი გაათბოს, მოალმობიეროს, ერთმანეთს დაუახლოვოს, სიცოცხლე მოაწყუროს და შეაყვაროს...

სწორედ ასეთი მზეა კაცთა ცხოვრებაში საზოგადოთ ხელოვნება, კერძოთ მუსიკა—სიმღერა გალობა, დაკვრა... ეს არის, რომ სხვა და სხვა სჯულის, რწმენისა და ეროვნების ხალხს ალამაღლებს, გაართიანებს, გაათბობს, გრძნობა-გონებით განასპეტაკებს, ერთ ოჯახში—სულიერ სიტკბოების ოჯახში—თავს მოუყრის და შევებით აღმოანთქევინებს:

მეც ადამიანი ვარ!

ამ შემთხვევაში ხალხისათვის უმეტეს დიადი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ-მშობლიურ მუსიკას: სიმღერა, გალობა, დაკვრა ხომ სულის იდუმალი მეტყველებაა, სულთან სულის გადამბმელი, საიდუმლო ენით მოუბარი და ადამიანი რომელ ენას უფრო ადვილად გაიგებს, თუ არა მშობელ დედისას?!

ვინ არ იცის, რომ წარსულში ჩვენს ერს დიდი მდიდარი სიმღერა-გალობა ჰქონდა, რომლის ნაშთი დღესაც ხალხში მრავლადაა გაბნეული, მაგრამ მისი ალორძინება განვითარება რუსთა ბატონობის ხანამ შეაჩერა, რათა ერი, ხალხი სულიერად მოეკლა.

მაგრამ საბედნიეროდ უხეშმა ძალამ სრულიად ვერ მოგვსპო და დღეს ამ დარგში თვით ხალხისავე შვილები გამოდიან სამშობლო ხელოვნების სადიდებლად!..

ერთი ასეთთაგანია ძუკუ ლოლუა, რომელიც ოც წელიწადზე მეტია რაც ამ ასპარეზზე მოღვაწეობს დიდის გაჭირვებით, მაგრამ უზომო სიყვარულით.

რამ გაიტაცა ეს კაცი ასე და რა სურს?!

იგი, ვითარცა ჩვენი ხალხის გულიდან გამოსული ეროვნულ-ხალხურ ნიადაგზე აღზდილი, მწუხარებით უყურებს იმ გარემოებას, რომ „ივიწყებენ ჩვენ ძველის-ძველ, მამა-პაპათა გადმოცემულ სიმღერებს, რომელთა განხილვა ჩვენ ბევრ სარგებლობას მოგვიტანს როგორც კულტურის მხრით, ისე ეთნოგრაფიულად.. რა თქმა უნდა, ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ უცხო კულტურის, მაგრამ ნათქვამია: ჯერ თავო და თავო... ამიტომ საჭიროა ჯერ ჩვენი მამა-პაპათა სიმღერები დავამუშავოთ და მერე უცხო სიმღერებს მოვკიდოთ ხელი“

ძუკუ ლოლუა ამ მიზნის განსახორციელებლად, როგორც ვსთქვით, ოცი წელიწადი მუშაობდა, დაუზარელად ხელმძღვანელობდა ხალხურ მომღერალთ თვისგანვე შემდგარ გუნდებს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ერთი კაცი ჭამაშიაც ბრალიაო და, რა უნდა გააწყოს ერთმა კაცმა!.. აქ საჭიროა საერთო ძალღონით შეთანხმებული მუშაობა, რომ ასეთ თავგამოდებულ მუშაკთა შრომის ხვავიც დიდი გამოუჩნდეს. მისი რწმენით, ყველა დაბა ქალაქსა და მოზრდილ სოფელშიაც უნდა დაარსდეს ადგილობრივი ხალხურ მომღერალთა გუნდები, რომელთა ხელმძღვანელობასაც, თუ საჭირო იქნება, უსასყიდლოდ კისრულობს თვით ძუკუ ლოლუა

ნამდვილი ჩვენი ხალხური სიმღერა-გალობა ნაზია, სათუთი, მას დიდის სიფთხილით და მორიდებით უნდა მოპყრობა, რომ არ შეირყვნეს: აქ არ კმარა მარტო თეორიულ-ტეხნიკური ცოდნა, არამედ საჭიროა ნიჭი მშობ. სიმღერების შეგრძნება-განცდა, მის მრავალფეროვნობის განსხვავება...

მხარი, მხარი მიეცით ხელოვნების ასეთ მუშაკთ, რომ პოლიტიკურ განახლებასთან სულიერ-გონებრივ-ზნეობრივათაც განვახლდეთ და ჩვენს დედის მკერდს მტკიცედ მივეყრდნოთ!

იოსებ არიმათიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენები პროვინციაში

დღეს ყველაფერი აწეწილ-დაწეწილია. პირველი ალაგი სიტყვიერებამ დაიკავა. საქმიანობა თითქოს არ იყოს საჭირო რევოლიუციის დროს. იქნება ასე ესმოდეს ბევრ თავისუფალ მოქალაქეს თავისუფლება. საბრალო თავისუფლება! როგორ ჯიჯგნიან მას?! ყველას თავისებურად ესმის ის: მოქეიფეს ნუ უშლით თავისუფლად ქეიფს, ჩარჩს ყვლეფას; ქურდს ჯიბგირობას... ეს თავისუფლების შეზღუდვაა. ასეთი თავისუფლების მოტრფიალენი და ძალით მაძიებელნი ძლერ გამრავლ ̣ნენ ამ იდეიურად სანეტარო და სინამდვილეში ხშირად მწუხარების მომგვრელ დროში.

ძნელი შეიქნა დღეს მუშაობა ისევ ისე იმ ორიოდე მოწინავე პირთათვის, რომელთაც კბილებით უხდებათ ბრძოლა ხალხის ინტერესებისთვის. უწინ ისინი მთელი თავიანთი არსებით ოპოზიციაში ედგენ ხალხის მტერთ, დღეს მძიმე დროა და მართვა გამგეობის სათავეში ისინი მოქცეულან, შეუგნებელ მასას ისინი ჰგონია ყველაფერ უბედურების მიზეზი. აქ ისევ ლომებრ პროპაგანდაა საჭირო. ძნელია ეს.

პრაქტიკული სამუშაო დღეს უზომო, დიდია მარტო ამას ვერ აუვა ჩვენი მოწინავეენი. აქ უნდა ამოძრავდეს ყველა ის მანქანა, რომელიც შეგნების გასავრცელებლად ბრუნავდა. ასევე უნდა მოიქცეს ჩვენი თეატრი, რომელიც ერთი ასეთი მანქანათაგანია, ის კი დღეს უმოქმედობას მოუცავს.

ჩვენი დამსახურებული მსახიობნი დღეს ვერ ემსახურებიან სცენას შესაფერად. დღეს არ კმარა მარტო ქალაქის კოლოფში მოქცევა. აქ შეგნებულიც მეტია და პროპაგანდაც ხშირი. საჭიროა სხივის შეტანა სოფელში, იქ, სადაც ასე მძიმედ იდგამდა ფეხს ჩვენი სასცენო ხელოვნება.

დღეს საუკეთესო სასცენო ძალებს ბათუმში. ქუთაისში და თბილისში მოუყრიათ თავი. ისინი ამ ქალაქებს არ შორდებიან. აქ ისინი კმაყოფილდებიან მოწაფეთა აუდიტორიით. ეს სასურველია, მაგრამ უფრო საჭიროა ჩვენმა სცენამ ცხოვრების ჭირ-ვარამი უფრო დღეს გაურკვიოს ხალხს ვინემ ოდესმე. ამას თვითონ უნდა სჩადიოდენ ჩვენი მსახიობნი. დღევანდელი უძრაობა არ ეპატივებათ მათ. მათ მიერ გამართულ წარმოდგენებს ყველგან აღტაცებით ეგებებიან, დარბაზში ტევა არაა; ნივთიერი დანაკლისი არ მოუვათ. ესენი კი პროვინციის ძახილზედ არ მოდიან.

ჩვენ ვიცით ასეთი შემთხვევა: აბაშის მოწინავეებმა თხოვეს ქუთ. მსახ. დაედგათ აქ წარმოდგენა, მაგრამ ამაზე დრამ. საზ. გამგეობამ უარი უთხრა,—შეუსრულებელი პირობები შექმნა აქ არ არის საქმის სიყვარული. დრამ. საზ. თავჯდომარე კი კრებებზე ქუხს ხელოვნების შველაზე. სიტყვა სხვაა, საქმე სხვა... დღეს პროვინციის დაძახება არ უნდა სჭირდებოდეს ჩვენს მსახიობებს. თორემ პროვინციის სცენა არა მკითხველს რჩებათ. დაეცემა ავტორიტეტი თეატრისა.

ჩვენს სიტყვას გაიგებს და განიზრახავს [illegible] ხიობი, რომელსაც ქართული სცენა უყვარს. ჩვენი გვწამს, რომ ბევრ მსახიობს უყვარს ჩვენი სცენა. თუ ეს ასეა, საჭიროა ქალაქებში გამოიყოს მოძრავი დასი, რომელიც დროგამოშვებით შემოივლის პროვინციას და თანამედროვე პიესებს დადგამს. დღეს ამის მოთხოვნილება მომწიფებულია.

არ. ფანცულაია

გიორგი ბეჟანისძე ტატიშვილი

ქართლში დატრიალებულ ბოლო ხოლვა-ულეტის გამო სამშობლო მიწა-წყლიდან გამოიკრიბნენ არა მხოლოდ მებატონე-თავად-აზნაურნი, არამედ სოფლის მოჯირნახულე ინტელიგენციაც, რა-დგან ბევრ მათგანს მზე დაუბნელეს ერთი ასეთი ლტოლვითაგანი ზემოთ გამოსახტული ბ ტატიშვილი, ძმა ჩვენი ცნობილი მწერალ-მოდვაწე ქალის ნიშნ ეთეონისა, მწერლობაში სოფლის მეგობრის სახელით გამოსული

გიორგი ბეჟანის ძე 18 წ. სააქციოზო მოხელედ მსახურედა, მაგრამ ამავე დროს არ იგიწყებდ საზოგადო-სოფლის საქმეს: სოფ. წრომში გამოიყვანა წყალი, გაახსნა სკოლა, მომზმარებელი კოოპერატივი, რ ოლის გამგეობის თავმჯდომარედაც უგანასკნელს დროამდე იყო ამ კოოპერატივმა საზ-ას მისცა 7300 მან. მოგება, გაამაგრა საცდელი საჩვენებელი ამერიკული ვაზის და ხელის ბადი, შექმნა სანერგე საყურძნე ვაზი, ყოველ ზაფხულობით სოფელში დაჭაგდა ვაზის მყვნელი და სოფლელებს ასწავლიდა საქმეს უფასოდ ურიგებდა თავისგან შედგენილ-დაბეჭდილ „ამერიკულ ვაზის მოვლა-მოშენების პრაქტიკული დარიგება" მისივე შრომით გაიხსნა კოოპერატივები დირბში მოხისში, ქვენატკოცნაში; სად. გომზე დაარსა საჩაიონი კოოპერატივი. კავშირი და ქონება შეუძენა, დღეს 200000 მაენ დირებული, რომელის გამგეობის თავმჯდომარედაც ოვითვე იყო; აქვს დაარსებ მეგენახეთა ამხ. „საქართველო"-ს. დალაქიშვილთან მონაწილეობს ხალხათა საქმეებში და სხ. უკანასკნელ დროს განზრახა სოფელში ავანო აეგო, რისთვისაც საგანგებო ინჟინერიც ლეო დიასამიძე გაიწვია, რომელმაც გეგმა დ ახარჯთ-აღრიცხვა შეადგინა, მაგრამ ძალა. რალებმა არ აცალეს სახელი გაუხარეკეს და მოჯა მაგირები ჩამოართვეს და იგიც იძულებული

ნაამხედარ სოფლწლოთა რჩევით სოფლის ... ცილდა, სადაც მრავალი საზოგადო საქმე ...რჩა გაუკეთებელი. ნა ძირალებმა ეს არ აკმ... ა და და მხეცურ, დ მოკლუ ლერ ციციშვი... ს დაკრძალვის დროს ერთმა ჩაჟჟვო პირმ, ...ჯინგზე ლეოს მოკვლაც კი დააბრალა რომ ...თი ჯერ ერთი ერთი ლეოს ნამდვილ მკვლე... ვინაობა და ეფარნნ, — მეორეს ესე კ მოეკა ...ლევინა, მაგრამცრუ ცილის მწამებელი ხალხმა შესძრა—პროვაკატორი ხარო.

სოფელო, გონს მოდი, იცან მტერი და მოყვარე... გ. ბ. ტატიშვილი ჯერ არც ისეხნი ერია, რომ სოფელს კიდევ ბევრი სარგებლობა არ მოუტანოს...

ი

შ ა რ ა დ ა

სახელი რუსთა მეფისა
სასახლის გამხრწნელ-დამმხობის,
უპირველესი მიზეზიც
ვინც იყო არეულობის,
შუა გააპეთ, წინასა
სამს ანბანს თუ მითავაზებთ,
ერთ ჩვენ კარგ მგოსნის ფსევდონიმს
გამოსაცნობათ ავაგებთ.
კიდევ იმ ფრინველის სახელსა,
რომელიც მგალობელია,
სულ მთელად თუ შეელევით
იქნებით მწყალობელია.
შემდეგ სახელი მიხსენეთ
ნაყოფის იმ ხეხილისა,
მწიფე მაისში რაც არის
თითქმის ოთხ ნაირ ფერისა.
სახელს აქვს ორი მარცვალი
ბოლო ...ე, თქვენ პირველია,
შარადაც გაგვითავდება
თქვენ მიხვდით თუ რომელია.

ვარდენ ყიფიანი

სოფ. ზვარეთში ყველივრის შაბათს ტომარაძის სახლში წარმოადგინეს ,,დედინაცვალი'' რამიშვილისა და ,,ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან'' მონაწილეობდნენ დანი ნადა და კატო ბაქრაძის ასულნი, ძმანი დავ. და ივ. ტრიფონისძენი ბაქრაძენი, გალინა ტრიფონის ასული, ედუკია და ვასილ კირვალიძე. ,,დედისნაცვალი'' მშვენივრად ჩაატარეს კარგები იყვნენ ნადეჟნა ბაქრაძის ასული (დედინაცვალი) ედუკია ტომარაძის ასული (მოლოზანი და ბებია) და ძმანი ბიქრაძენი. (ხარლამპიე და მალხაზი) და ვასილ კირვალიძეც (ნიკო ომიანიძე) თუმცა სრულიად მოუმზადებელი გამოვიდა სხვის მაგივრად. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. შემოსავალი ას მანეთს აღემატება, რომელიც უნდა მოხმარდეს ,,ხეორზე'' ხიდის გაკეთებას. ამავე ხიდისათვის ამ საღამოს ვასილ კირველიძემ შემოსწირა ასი მანეთი ზვარეთის და სეითის მცხოვრებლები უღრმეს მადლობას სწირავენ შემომწირველსა და წარმოდგენაში მონაწილეთ, აგრეთვე ყველა იმათ, ვინც ამ საკეთილო საქმეს ხელი შეუწყო.

ზემო რაჭველი გლეხი

ძველსენაკშიკვ., 4 მარტს ადგილ. სცენისა და სამკითხველოს სასარგებლოდ, სცენის მოყვარე მოწაფეთა მიერ მასწავლებელ ქალთა ვ. ცეკვაშვილისა და ივ. გაბუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნა ვ. გუნიას ისტ. დრ. „და-ძმა'' რაიც მხატვრულად ჩაატარეს. აღსანიშნავია ვ. ცეკვაშვილი მარინეს როლში. ხალხი ბლომათ დაესწრო და მეტად ნასიამოვნები დაშალა. მადლობის ღირსია ყველა სცენის მოყვარე, განსაკუთრებით ამ წარმოდგენის გამგე მინადორა ბოხუასი უსურვებთ წინსვლას.

დამსწრე

წვრილი ამბები

ახალი ქართული დრამატიული დასის შედგენას შეუდგა გიორგი ალექ. ჯაბადარი, პარიზის ოდეონის თეატრის რეჟისორად ნამყოფი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც საზღვარ გარეთიდან დაბრუნდა. დასში ეწერებიან ინტელიგენტური ძალები—სტუდენტები. ჯერჯერობით ორმოცამდე კაცი და ქალია ჩაწერილი. დასი ქართ. დრამ. საზ-ის თაოსნობით იმოქმედებს. ნივთიერ მხრით საქმე უზრუნველ[illegible] ყოფი[illegible]ია: ეხმარება ქართველ[illegible] ფუ[illegible]ანდართა ჯგუფი. მსახიობთ წ[illegible]ი ური ჯამაგირები მიეცემა. მთავარი რეჟისორი—გ. ა. ჯაბადარი, რეჟისორები ვ. შალიკაშვილი და კ. მათიაშვი[illegible]ი, რეჟისორის თანაშემწე—შაქრო ბერიშვი[illegible]ი.

ქართველ მსახიობთა კავშირის წევრთა წლიური კრება დაიწყო მარტის 7 და გაგრძელდა 12-დე. კრება საქმიანი იყო. იყო ორი მიმდინარეობა: საბჭოს წინაღმდეგი და მომხრე. ბოლოს შეთანხმდენ. კრების მსვლელობის დროს კავშირში წევრად ჩაეწერა ქუთაისის დრამ. საზ—ბა, რომელის წარმომადგენელ გამოგზენელი იყო აკაკი ფაღავა ამ გარემოებამ ქუთაისის ინციდენტის და ზოგიერთ საკამათო საგანთა გამოკვლევას ხელი შეუწყო. კავშირის დაარსებიდან ათი თვის განმავლობაში კავშირის შემოსვლია 33000 მ. გასავალი—1500 მ. წმინდა დარჩენილია 18000 მ. კავშირს აუღია თეატრის ასაშენებლად ლატარიის გამართვის ნებართვა, უზრუნვია სასადილოს მოსაწყობად, დახმარება აღმოუჩენია უმუშევარ წევრთათვის, შუამდგომლობა აღუძრეს საცენზორო კომიტეტიდან პიესების არქივის დასაბრუნებლად, სახემწიფო თეატრის ასაღე-

ბახ და სხ. საზოგადო კრებამ მადლობა გადაუხადა ნაყოფიერ მუშაობისათვის სთხოვა პროცენტების აღებაში უფრო [illegible] გამოდებით იმოქმედოს, შესცვალა [illegible] პროცენტების აღებისა, შეასწორა მუხლები სეზონის [illegible]ების შესახებ და კომისიას გადასცა წესდების ზოგიერთი მუხლები, ეროვნულ საბჭოს შესწირა 1000 მან. საპენსიოდ გადასცა 1200 მან. მიცვალებულ მსახიობთა სამარეთა გასამშვენებლად—1300 მან. პიესების პრემიებისათვის—500 მ. პროვინციაში სეზონებიხ მოსაწყობად—5000 მ. სესხის გასაცემათ—2600 მ. ძირითად თანხაში—5000 მ. ჯამაგირი მოუმატა თავჯდომარეს, საქმის მწარმოებელს, ბუხჰალტერს, საბჭოს დაავალა კანცელარია სათანადოდ მოაწყოს. კრებამ საბჭოს დაავალა თბილისსა და ქუთაისში მოაწყოს სეზონები, გამოვიდეს თავის სახელით თბილისში რეჟისორად მოიწვიეს განთქმული კ. მარჯანიშვილი. ბოლოს მოხდა საბჭოს არჩევნები. თავჯდომარეთ ერთხმათ შალვა დადიანი (რომელმაც მაინც კენჭის ყრა მოითხოვა), წევრებათ ახალი ვკ. სვ. მესხი, გ. ფრონისპირელი და ა. გაჩეჩილაძე (სანდალ) საბჭოში დარჩენ ტ. აბაშიძე, ვ. შალიკაშვილი და გ. იშხნელი. საპრეზიდიუმო სასამართლოში ახლები—კ. ანდრონიკაშვილი და ვ. ბარეველი. ძველები ვ. -ბაშიძე, ნ. დავიდაშვილი და ა. კორიშელი, სარევიზიო კომისიაში ს. ახვლედიანი, ი. ივანიძე და აბრ. ტურაშვილი, კანდიტატებიდ დ. ჩხეიძე და ვ. ურუშაძე. კრებამ მადლობა გამოუცხადა კრების თავჯდომარეებს ვ. გუნიას და ივანიძეს.

ვასო აბაშიძის 40 წ. მოღვაწეობის იუბილე გაიმართება ქართულ კლუბში აპრ. 15

კომპოზიტორი დ. არაყიშვილი მოსკოვიდან თბილისს დაბრუნდა: კომპოზიტორი სამშობლოში დარჩება სამუსიკო ასპარეზზე სამუშაოდ.

ქართველ მუსიკოს-მომღერალ კავშირმა კომპ. არაყიშვილი მიიწვია და მოკლე ხანში მისი ნაწარმოებთა საღამოს გამართავს მისივე მონაწილეობით.

ეროვნული გუნდი სდგება კომპ. ნ. სულხანიშვილის ხელმძღვანელობით საქმეს თაოსნობს ქართ. საშხედრო კავშირი.

მუსიკის თეორიისა და სოლთფეჯიოს კურსებს ჰმართავს ვიოლონჩელისტი ალ. აბაშიძე.

თეატრი და ცხოვრება ნიკოლოზ ჩიქოვანმა თავისი ხარჯით მთელის წლით გაუწერა სოფ. ჯოლევის (სამეგრელოში) სამკითხველოს; მიქელგაბრიელის—ან. მიქელაიშვილმა, ა. ქორიძემა და ლ. ქორქიამ ბოლქ. სახ.

მწიგნობრობა

დიქცია მსახიობთა და ორატორთათვის, გიორგი ალ ჯაბადრისა, მივიღეთ. წიგნის შინაარსი: წინასიტყვაობა, ხმა, სუნთქვა, გამოთქმა, ნიშნების დასმა კითხვის დროს, მნიშვნელოვანი სიტყვა, სწორე კილო, ხმის ინტონაცია. ეს წერილები წინად (1910) წ. ჩვენს ჟურნ. თეატრი და ცხოვრებაში იბეჭდებოდა, წიგნი დაბეჭდილია საუცხოვო ქადალდზე შეიცავს 69 გვ. და ღირს 2 მ. 25 კ. ამ წიგნში შემოტანილია სხვათა შორის, ორ ბრჯგუანი

„ავტონომია“ და ფედერაცია, „თეოდო ლონტის თხუბულება 1 წიგნი მასალნბი. დიდი ტანის წიგნია, 339 ვე დაბეჭდილია. საშუალო ქალალდზე, ავტორის სურათით, ღირს 4 მან. წერილები ფრიად საყურადღებოა ხსენებული კითხვის შესასწავლიად

ს. ერთაწმინდელის „ობოლი სამარე“ დაიბეჭდა და იყიდება ფას. 75 კ.

მომავალი, ობოლი მუშის ლექსები, „ჰოვეი“ და დრამ ნაწარმოები, გამოცემა [illegible] ულიანა მოზოგილი ტანისაა, მშვენივრად [illegible] ტორის სურათით, ბიოგრაფიით და ივ. გომართელის კრიტიკული მიმოხილვით, ღირს 4 მან.

სამგლოვიარო ფურცელი

ცხინვალში არეულობის დროს მოჰკლეს გორის მაზრის კომისარი გ. მარაბელი, ცნობილი სოც.—დემ. პარტიული მოღვაწე სანდრო კეცხოველი და სხ.

პეტრე ჩხაიძე, ლანჩხუთის სცენის მოყვარე, მწერლობაში „დიოგენი“ სახელით ცნობილი, სოც—დემ. საგანგებო სარევოლიუციო რაზმის წევრი, აქსტაფაში, მოკლეს ჯალსნოსან მატარებ.ზე.

ცეზ. ანტ. კუი, რუსთა გამოჩენილი უხუცესი კომპოზიტორი, გარდ. თებერვლის 28, დაბადებიდან 82წ. დასწერა ოპერები: „რატკლიფი, „ანჯელო,; კავკასიელი ტყვე,: „მანდრაინის შვილი,; „ბაჩერეერი,, „ქ-ნი ფიფი,, და სხვა მრ. სამუსიკო ნაწარმოები.

ფრანკ ვედეკინდი, ნემენცთა სახელგანთქმული მგოსანი და დრამატურგ გარდ. მარტის 9, დაბადებიდან 54 ან. მის კალამს ეკუთვნის პიესები: „გაზაფხულის ნიაღვარი)ქართულად ნათარგმნია), „შვენიერების სარწმუნოება„, პანდორას ყუთი„. „მიწის სული„(ლელე) და სხ

შეეოღიულება

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“—ს ფონდის გასაძლიერებლად შემოსწირეს:

მიხ. ბაშარულმა—100 მან. ალ. გრ. უგუზოვმა—30 მან ვ. კირვალიძემ—15 მ. დავ. გაბრუაშვილმა—15 მ. ს. რაზმაძემ—10 მ. ხუთ-ხუთი მანეთი: ამხანაგმა ას-ემ, თორაძემ, ივ. კოლელიშვილმა გ. ნასარიძემ, ხვიდელიანმა, ნიკო ლეჟავამ; სამ-სამი: ა. გაბრუაშვილმა, ს. ქორიძემ, ბ. გამრეკელმა, ვლ. სვ ყიფიანმა, დიმ. გელაშვილმა, მინდიაშვილმა, ნიკ. ლაზარევმა, ნიკ. კეჭაღმაძემ,, დომ. თევზაძემ, ვას. რატიშვილმა, სერ. ოსაძემ, ორ-ორი მან: ბეზარაშვილმა, ჯვაბიშვილმა, ი. ხვიდელიანმა, ს. გოგელიძემ, ვას ჭავჭანიძენ, დომ. მესხმა, დავ. წიკლაურმა, მელ. ქურდაძემ, გ. თაბორიძემ, ი. მჭედლიშვილმა; მანათ-ნახევარი ვ. მჭედლიშვილმა, თითო მანეთი: ვ ხალილაშვილმა, ია ხუნაძემ, აკ კამკამიძემ, ნ. მეძმარიაშვილმა, ვ ზალდასტანიშვილმა, გ ჟურულმა, სვ ლომიძემ, ნინო კანდელაკმა, ს ოორამიშვილმა, პარკაძემ, ბასიშვილმა, თეთრაძემ, მაზურომ, კანდელაკმა, ზეინალოვმა, რცხილაძემ. მაისურაძემ, კლიმიაშვილმა, ცხადაძემ, თინიკოვმა, ლოგაძემ, სვანიძემ, მაჭავარიანმა, ჭიჭინაძემ, ჯალადანიამ, ოქროაშვილმა, პ ციხისთოვმა ა მამედოვმა, დ იმედაშვილმა, ნ ვაშაკიძემ, ევ ყვანიამ; ათ-ათი -შაური: ალ ფურცელაძემ, შავლიშვილმა. ბერიშვილმა, ალ ლაზარიშვილმა, ბიდიანიძემ, სულ 306 მან.

შემომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნით. **რედ.**

„თეატრი და ცხოვრება“

წლიურად ღირს 15 მ. ნახევარი წლით—9 მ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაში ბაზრის ქუჩა № 20, სახლი არჯევანიძის, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ხაზინის თავში, მეწიგნეების რიგზე. ფოსტით-Тифлис, ред. „ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБ „Іосифу Имедашвил

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**